



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 2344
25/10/2019

2344-02-4-201910251654



ონის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. შეიქმნას ონის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტია და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

თამთა ტეფნაძე

ონის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული
ერთეულის - ეკონომიკის სამსახურის
ხელმძღვანელი – **სამუშაო ჯგუფის
ხელმძღვანელი;**

თეიმურაზ გრძელიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული
ერთეულის - სივრცითი მოწყობისა და
ინფრასტრუქტურის სამსახურის
ხელმძღვანელი – **სამუშაო ჯგუფის
ხელმძღვანელის მოადგილე;**

ირინა გობეჯიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული
ერთეულის - ეკონომიკის სამსახურის
პირველი კატეგორიის უფროსი
სპეციალისტი ქონების მართვის
საკითხებში – **სამუშაო ჯგუფის წევრი;**

ნინო მეტრეველი

ონის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული
ერთეულის - ეკონომიკის სამსახურის

გივი ბენდიანიშვილი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკის საკითხებში – სამუშაო ჯგუფის წევრი; ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი- სამუშაო ჯგუფის წევრი;
ვალერიან გობეჯიშვილი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი- სამუშაო ჯგუფის წევრი;
მანანა ჩაგელიშვილი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი- სამუშაო ჯგუფის წევრი
მარინე რაზმაძე	ონის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი- სამუშაო ჯგუფის წევრი;
მარიამ გობეჯიშვილი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი- სამუშაო ჯგუფის მდივანი;
ბაჩანა მარკოიშვილი	ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- სამუშაო ჯგუფის მოწვეული წევრი;

2. სამუშაო ჯგუფის ამოცანებია:

- ა) მუნიციპალიტეტის სოციალურ ეკონომიკური საჭიროებების იდენტიფიკაცია;
- ბ) ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების/გამოწვევების გამოვლენა;
- გ) პრიორიტეტების ან/და პრობლემების გამოვლენა, რომელთა იდენტიფიკაცია ან სრულყოფილი შეფასება ვერ ხდება მხოლოდ მეორადი მონაცემების საფუძველზე;
- დ) განვითარების ისეთი შესაძლებლობების გამოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას, ეკონომიკის დივერსიფიკაციას;

3. სამუშაო ჯგუფმა 2019 წლის 29 ნოემბრამდე უზრუნველყოს 2020-2023 წლების ონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

